14

ოქტომბერი

შაბათი,

1961 წ.

№ 163 (1799)

გამოდის მე-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

სპორტული ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციები კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩილი ემზადება

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტული პრესის ფედერაციის ინიციატივით მოსკოვში მოეწყო პრეს-კონფერენცია, სადაც დამსწრეთა წინაშე გამოვიდნენ ჩილის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კარლოს დიტბორნი, კომიტეტის გენერალური მდივანი ერნესტო ალვეალი და ჩილის ფეხბურთის ფედერაციის ექსპრეზიდენტი ლუის მესა. ისინი ამჟამად მოგზაურობენ ევროპაში.

კ. დიტბორნმა პრესის წარმომადგენლებს გააცნო, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება მის სამშობლოში ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ფინალური ეტაპის ჩასატარებლად. აქ გამოიყენებენ წინა ჩემპიონატების სისტემას: 16 გუნდი დაიყოფა 4 ჯგუფად. გათამაშება ჩატარდება სანტ-იაგოში, არიკაში, ვინიადელ-მარსა და რანკაგუაში. მისი სიტყვით, უკვე გაიყიდა ყველა ბონემენტი მატჩებზე დასასწრებად, მაგრამ დატოვებულია რეზერვი უცხოელი ტურისტებისათვის.

საორგანიზაციო კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია ჩემპიონატის მონაწილეთა და ტურისტთა მიღება-დაბინავებისათვის. თვითეულ ქვეყანას, რომელიც გამოაგზავნის გუნდს, დაეთმობა სპეციალური რადიოარხი რეპორტაჟისათვის, ხოლო საერთო ინფორმაციები სისტემატურად და დაუყოვნებლივ გადაეცემა ხუთივე კონტინენტს. მრავალი სახელმწიფოს 400 კორესპონდენტი უკვე გაფორმებულია ოფიციალურად, მაგრამ მათი რიცხვი გაცილებით მეტი იქნება.

ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს დიდ დახმარებას უწევს მთავრობასთან შექმნილი სპეციალური კომისია.

კ. დიტბორნმა ილაპარაკა აგრეთვე იმაზე, თუ როგორ ემზადებიან ჩილის ფეხბურთელები პირველობისათვის. ჩილელები ითამაშებენ უნგრეთის, ბულგარეთის, ბრაზილიის, არგენტინისა და პარაგვაის გუნდებთან. ნოემბრისათვის სანტ-იაგოში მოწვეულია სსრ კავშირის ნაკრები.



დიდი გამოცდის წინ

თბილისში დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. ის განსაკუთრებით იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ ერთი თვით უსწრებს საკავშირო პირველობას, ტარდება მის პრინციპებზე და ამდენად, წარმოადგენს თავისებურ გენერალურ რეპეტიციას დიდი გამოცდის წინ.

შეჯიბრების დებულებით თვითეულ გუნდში გამოდის 8-8 ქალი და ვაჟი, რომელთაგან თითო-თითო მაინც უნდა იყოს მეორეთანრიგოსანი, ხოლო ორ-ორი — პირველთანრიგოსანი. ეს რესპუბლიკური და მომავალი საკავშირო ჩემპიონატების სიახლეა, ჩვენ ვიტყოდით — მეტად სასარგებლო სიახლე. მეორე და პირველთანრიგოსნების „სრულუფლებიანი“ დაშვება ასეთ შეჯიბრებებზე უთუოდ დიდ სტიმულს მისცემს ჩვენს ოსტატთა ნორჩ ცვლას და გამოავლენს ახალ, პერსპექტიულ ძალებს, რომლებიც ასე ძლიერ გვჭირდება.

ზემოაღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა პირველთანრიგოსანთა აპარეზობა, რამდენადაც საკავშირო პირველობაზე ყოველი გუნდი, მათ შორის ჩვენიც, უნდა წარსდგეს 7-7 ოსტატით, 8-8 პირველთანრიგოსნით, 3-3 ე. წ. ახალგაზრდით და ყოველი მათგანის შედეგიც თავის გავლენას მოახდენს საერთო გუნდურ მაჩვენებლებზე. პირველთანრიგოსან ვაჟებში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სავალდებულო პროგრამამ ცხადყო, რომ თბილისელების — თ. ჩიხლაძის, კ. გელოვანის, ა. კვეტენაძის, თ. კარბელაშვილის, ჯ. ბუიღლიშვილის, ს. სხირტლაძის, აგრეთვე ქუთაისელი ბანძელაძის სახით ჩვენ გვყავს პირველთანრიგოსანთა ძლიერი ბირთვი, რომელმაც, სერიოზული მომზადების შემდეგ, შეიძლება ღირსეული მეტოქეობა გაუწიოს მოკავშირე რესპუბლიკების რომელიც გნებავთ გუნდს.

ასე არ არის საქმე ქალთა შორის. დავიწყოთ უბრალო მაგალითიდან: ნაირსიმაღლის ორძელზე 50-მდე პირველთანრიგოსანი გოგოდან მხოლოდ სამმა ძალიან ცხრამალიანი და მეტი შეფასება. სპორტსმენები ძლიერ სუსტად ასრულებენ არც თუ ძნელ ილეთებს. ეს საგანგაშო მდგომარეობაა, რასაც საკავშირო პირველობაზე შეუძლია მეტად უკან დაგვწიოს, და მწვრთნელებმაც უნდა იგრძნონ მთელი პასუხისმგებლობა, დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ქმედითი ზომები მის აღმოსაფხვრელად.

მაგრამ, პირველთანრიგოსან გოგონებში არის ერთი ბედნიერი გამონაკლისი და მით უფრო სასიხარულო, რომ იგი რაიონიდან ჩამოსული სპორტსმენია. ესაა სამტრედიელი გოგონა ც. ჭკადუა (მწვრთნელი გ. კალაძე), რომელიც მშვენივრად, დამაჯერებლად გამოდის ყველა იარაღზე და თავის დიდ უპირატესობასაც ამტკიცებს. 35,9 ქულით მან პირველი ადგილი დაიკავა და მთელი ქულით გაუსწრო მომდევნო ადგილებზე გამოსულ მ. ჩანთლაძეს (თბილისი) და ე. მუკნიაშვილს (გორი).

საკავშირო ჩემპიონატზე ჩვენი გუნდის ერთ-ერთ დამკვრელ ძალას, საერთო ვარაუდით, ოსტატი ვაჟები უნდა წარმოადგენდნენ. მიმდინარე პირველობა აქაც ავლენს მთელ რიგ ხარვეზებს, რომლებსაც სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ ოსტატთა უმეტესობა ჯერ კიდევ არ არის თავის საბრძოლო ფორმაში. გამონაკლისს შეადგენს ი. ბალიაური, რომელიც საერთოდ გამოირჩევა სიბეჯითითა და შრომისუნარიანობით. ის უკვე ახლოსაა თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმთან და ამან თავი იჩინა ქულებშიც. იგი პირველ ადგილზე მიდის და 1,25 ქულით უსწრებს ა. ფარულავას და მეტით — ნ. ფალავანდიშვილს. ლიდერთა შორის არ არის წინა რესპუბლიკურ პირველობაზე გამარჯვებული რ. პერტენავა. ეს რგოლებზე დაბალი შეფასების შედეგია. უკვე „კანონად“ იქცა, რომ პერტენავასთვის რგოლები „საბედისწერო“ იარაღია, მაშ, რატომ საგანგებო ყურადღებას არ აქცევს იგი და მისი მწვრთნელი ამ იარაღს, რათა თავგამოდებული ვარჯიშით სპორტსმენიც და მთელი გუნდიც დაზღვეული იყოს შესაძლებელი ჩავარდნისაგან? ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მართებთ რ. მიქაძეს, ა. ნარიმანიძეს და განსაკუთრებით — რ. კაკაბაძეს, რომ გაამართლონ გულშემატკივართა იმედები.

პირდაპირ უნდა ითქვას: ძალიან სუსტად არიან მომზადებულნი ოსტატი ქალები. აი ფაქტებიც: ე. ქაჯაიამ და ვ. შიროკიამ ნოლები მიიღეს ორძელზე. 30-მდე ოსტატიდან ამ იარაღზე და დეირზე მხოლოდ ა. ჯანუაშვილმა გადალახა 9-ქულიანი ზღვარი, ხოლო ხტომებში — მხოლოდ ე. ქაჯაიამ და ე. ბენიძემ. ა. ჯანუაშვილი ამ პირველობაზე კვლავ ამტკიცებს, რომ იგი განუზრელად იზრდება და სერიოზული, საფუძვლიანი პრეტენზიებიც აქვს. შეჯიბრებას ის ლიდერობს 36.55 ქულით. მ. ცნობილაძეს აქვს 35,7, ე. ბენიძეს—35,65.

ერთი ფაქტიც: ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშობს ერთი სპორტსმენი, ხოლო ოთხს (!) ხელებით უჭირავს იარაღი, რომ მან არ იუანყალოს... აი, როგორ მოემზადნენ შეჯიბრებისათვის ლენინის სახელობის დარბაზის მესვეურნი...

ნ. ბახუტაშვილი,

სსრკ დამსახურებული მწვრთნელი,

შ. ვადაჭკორია.

სურათებზე: ც. ჭკადუა ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშის დროს. ქვევით — შეჯიბრების მონაწილე ნ. ფურცელაძე.



ყველაზე მრავალრიცხოვანი

საქართველოს მოჰაჯრაკეთა II მასობრივი ტურნირი

ჩვენს რესპუბლიკაში ჭადრაკს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. აი სწორედ მათთვის საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირი მართავს II მასობრივ ტურნირს, რომელიც ნამდვილად დიდ სპორტულ მოვლენად გადაიქცევა.

როდის და რა წესით გაიმართება საქართველოს II მასობრივი ტურნირი?

მასობრივი ტურნირი სტარტს აიღებს რაიონებისა და ქალაქების ძირეულ კოლექტივებში (საწარმოდაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, სკოლებში და სხვ.). შეჯიბრებები უნდა დამთავრდეს 5 ნოემბრამდე. ტურნირები გაიმართება ოლიმპიური წესით, ე. ი. ერთი წაგების შემდეგ მონაწილე მექანიკურად ითიშება შეჯიბრებიდან.

მასობრივი ტურნირის მეორე ეტაპია (10–20 ნოემბერი) რაიონებისა და ქალაქების ფინალური შეჯიბრებები, რომელშიც დაიშვებიან ძირეულ კოლექტივებში გამარჯვებულები (რაიონებში არანაკლები 20–30 კაცი, ხოლო ქალაქებში — 30-40; თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, სტალინირში, ფოთში — 50-70 კაცი). ეს ტურნირები ჩატარდება შვეიცარული სისტემით. გათამაშებულ უნდა იქნას შვიდი ტური, რომ ტურნირს საკვალიფიკაციო მნიშვნელობაც ჰქონდეს.

მეორე ეტაპში შედის აგრეთვე აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მასობრივი ტურნირების ფინალი, რომლებიც უნდა ჩატარდეს 23 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე. აქაც მოეწყობა შვიდი ტური შვეიცარული სისტემით.

ამ ტურნირებში გამარჯვებულები (100 კაცი) ყველა რაიონიდან და ქალაქიდან 7 დეკემბერს ჩამოვლენ თბილისში რესპუბლიკის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად (რაოდენობის შესახებ ადგილობრივი სპორტკავშირები გაეცნობიან ტურნირის დებულებაში, რომელიც მათ უკვე დაეგზავნათ). ვინც თან არ ჩამოიტანს ადგილზე ჩატარებული მასობრივი ტურნირის შედეგების ცხრილს, არ დაიშვება ფინალურ ტურნირში. თბილისში შეჯიბრება გაგრძელდება 17 დეკემბრამდე და ჩატარდება შვეიცარული სისტემით (რვა ტური).

მასობრივი ტურნირი დიდი ღონისძიებაა ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში. რაიონებისა და ქალაქების სპორტის მესვეურებმა, ახალგაზრდობამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ტურნირების მაღალ, ორგანიზებულ დონეზე ჩატარებაში.

რესპუბლიკის ფინალურ ტურნირში გამარჯვებულები 1962 წლის იანვარში ითამაშებენ მოსკოვში საკავშირო მასობრივ ტურნირში.

კონგრესის მთავარი საკითხი

მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც 1964 წელს ტოკიოში ჩატარდება, ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად მის პროგრამაში შეტანილია ფრენბურთელთა ასპარეზობა. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მიიღეს მხოლოდ ვაჟთა გუნდებმა. ამას წინათ მარსელში შემდგარმა ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა გადაწყვიტა იშუამდგომლოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინაშე, რათა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილი იქნეს ფრენბურთელ ქალთა ტურნირიც.

კონგრესზე მთავარი საკითხი იყო საერთაშორისო ოფიციალური ტურნირების კალენდარის დამტკიცება. როგორც ცნობილია, 1962 წლის მსოფლიოს პირველობის ჩატარება დავალებული აქვს საბჭოთა კავშირს. ამ შეჯიბრების დებულების პროექტის შესახებ კონგრესზე სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ამხ. ვ. სავინი. მისი წინადადება იყო, რომ ტურნირი დაწყებულ იქნას 1962 წლის 7 ოქტომბერს, წინასწარი თამაშები ჩატარდეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, ხოლო ფინალური ჯგუფის შეჯიბრება მოსკოვში. კონგრესის დელეგატებმა ვ. სავინის წინადადებას მხარი დაუჭირეს.

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ პ. ლიბო აირჩიეს, გენერალურ მდივნად — მ. ოკარი (ორივე საფრანგეთი). ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია ვ. სავინი (საბჭოთა კავშირი).

დურიფშელები

დურიფშელი სპორტსმენები ერთ-ერთი მოწინავენი არიან გუდაუთის რაიონში. მათთან ვაპირებდით გამგზავრებას, როცა გზად „კოლმეურნის“ გუდაუთის რაისაბჭოს თავმჯდომარეს გ. პადხვარიას მივაკითხეთ. აქ თათბირი იყო. რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე ბ. ავთანდილოვი, საკოლმეურნეობათაშორისო საცხენოსნო სპორტსკოლის მწვრთნელი ზ. ანშბა, „საქსოფლტექნიკის“ საარაონო დაწესებულების ხელმძღვანელი ბ. აიბა მაგიდას უსხდნენ და ცხენოსნობაზე საუბრობდნენ. გუდაუთელმა ცხენოსნებმა საქართველოს უძლიერეს ცხენოსანთა შეჯიბრებაზე II ადგილი დაიკავეს. მათი გუნდი ძირითადად ორი სოფლის—ლიხნისა და დურიფშის სპორტსმენებისაგან შედგებოდა და ახლაც მათს შესახებ საუბრობდნენ. საქართველოს მომავალ ჩემპიონატში მარტო ლიხნიდან და დურიფშიდან 12 ცხენოსანი მიიღებს მონაწილეობას — ასე შეთანხმდნენ თათბირის მონაწილენი. მათ უკვე იციან ვინ რომელ სახეობაში დაიცავს რაიონის სპორტულ პრესტიჟს საქართველოს ცხენოსანთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში. თათბირი დამთავრდა, გეზს სოფელ დურიფშისაკენ ვიღებთ.

კოლმეურნეობა „დურიფში“ აფხაზეთის ერთ-ერთი უძლიერესი კოლმეურნეობათაგანია. შრომითს ფრონტზე აქ ყოველწლიურად დიდი მიღწევები აქვთ. წელსაც, სკკპ XXII ყრილობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებები კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ნაკისრი 1900 ტონა ჩაის ფოთოლი უკვე მოკრეფილია და მწვანე ოქრო ჯერ კიდევ მოდის პლანტაციებიდან.

შრომასთან ერთად დურიფშელებს სპორტიც უყვართ; აქ 940-მდე შრომისუნარიანი კოლმეურნეა, რომელთა დიდი უმრავლესობა შრომითი საქმიანობის შემდეგ სხვადასხვა სპორტულ სექციაში იმაღლებს ოსტატობას. ცხენოსნები ა. ლაკერბაია, ა. თარბა, ნ. არძინბა, ვ. ტანია, მ. კვარაცხელია და სხვები საკოლმეურნეო მინდვრებზე შრომის მოწინავეთა რიგებში არიან. მათ არც სპორტული წარმატებები აქვთ ცუდი. წელს მოსკოვში ჩატარებულ ცხენოსანთა დიდ საკავშირო შეჯიბრებაში დურიფშელმა ცხენოსანმა ნ. არძინბამ დაბრკოლებათა გადალახვაში მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო ვ. ტანიამ 2-კმ-ზე დაბრკოლებებიან დოღში ბრწყინვალე გამარჯვება და ოქროს მედალი მოიპოვა.

დურიფშელი ახალგაზრდები მარტო ცხენოსნობით როდი არიან გატაცებული: ჯ. თარგილი და ზ. დვანბა რაიონის მსროლელთა ნაკრები გუნდის წევრები არიან, კ. ტვანბა და ვ. თარგილი — რაიონის ფეხბურთელთა ნაკრების მოთამაშეები, მოჭადრაკე ვ. საკანიამ მიმოწერით შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირში მე-3 ადგილი დაიკავა...

ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე, კომკავშირელი მ. ენიკი კოლმეურნეობაში მონტიორად მუშაობს და ფეხბურთელთა გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. მისი და ფიზკულტურული საბჭოს წევრთა ხელმძღვანელობით კარგად მუშაობენ საცხენოსნო სპორტის, ფეხბურთის, ჭადრაკის, შაშის, სროლის, ფრენბურთისა და მძლეოსნობის სპორტული სექციები. ამ სექციებში ჩაბჭულია 110 ფეხბურთელი, 16 ფრენბურთელი, 17 ცხენოსანი, 44 მძლეოსანი, 10 მოჭადრაკე, 12 მსროლელი და 10 მოშაშე.

დურიფშელ სპორტსმენებს ერთი კარგი ტრადიცია აქვთ დანერგილი თავისი სოფლის ცხოვრებაში: სამაისო და საოქტომბრო დღესასწაულებზე აწყობენ სპორტულ ზეიმებს. ამ დღეებში მთელი სოფელი სპორტულ მოედნებზე გამოეფინება ხოლმე და გატაცებით ადევნებს თვალყურს ფრენბურთელთა, მძლეოსანთა, მსროლელთა და სხვათა შეჯიბრებას. ამ ზეიმებზე დიდი პოპულარობით სარგებლობს აქაური მასობრივი თამაშები — მარცხენა, ჯირითი, ისინდი. საღამომდე გრძელდება ხოლმე სპორტული ზეიმი.

კოლმეურნეობის კლუბის შენობაში სათუთად ინახება საპატიო სტუმართა წიგნი. ჩვენც გადავფურცლოთ ეს წიგნი. მაშინათვე გეცემათ თვალში გვერდი, სადაც მოთხრობილია იმის შესახებ, რომ დურიფშელებს ჰყოლიათ სანუკვარ სტუმარი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი. აქ ყოფილან დელეგაციები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რომელთა ჩანაწერებიდან ჩანს, თუ როგორი აღფრთოვანება გამოუწვევია მათში სოციალისტური სოფლის დიდ მიღწევებს. დურიფშს სწვევია უნგრეთის სპორტული დელეგაცია, უნგრეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის — დიულ ჰედის ხელმძღვანელობით, რომ ლის ჩანაწერში შემდეგი ამოვიკითხეთ: „უნგრეთის სპორტულ დელეგაცია სიხარულით ეწვია დურიფშის კოლმეურნეობას. ჩვენ დიდი მადლობელნი ვავერსნთ კოლმეურნეთა და სპორტსმენთა მიერ მიპოებულ [illegible] ამ[illegible] წელს ზაფხულში მოსკოვიდან მიიღეს დურიფშელებმა. „გილოცავთ ცხენოსანთა საკავშირო პირველობაზე წარმატებით გამოსვლას. მეცხენეობასა და ცხენოსნური სპორტის განვითარებაში ახალი გამარჯვებების სურვილებით. საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ბუდიონი.“

დურიფშელებმა იციან სიტყვის შესრულება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას ისინი შრომაშიც და სპორტშიც ახალი გამარჯვებებით ხვდებიან.

მ. ჟავთარაძე

* * *

სურათებზე: ქვემოთ — ცხენბურთის თამაშის მომენტი ლიხნის იპოდრომზე, ზემოთ — (მარცხნიდან) დურიფშელი ცხენოსანი სპორტსმენები: ე. ბარციცი, ტ. ტვანბა, რ. კუდუბა, თ. თარბა (უხუცესი ცხენოსანი და მოჯირითე), ვ. ტანია, ი. შაქრილი.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა და ვ. სემიონოვისა.

ყრილობის შესახებ ჭრაკ

★

ძალა მასობრიობაშია

აფხაზეთის ახალგაზრდობა სწავლაში და შრომაში ახალი გამარჯვებებით ხვდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას. რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია კომკავშირელთა 30.000-იან არმიას მოიცავს. ამ არმიის წევრთა დიდი უმრავლესობა სკკპ XXII ყრილობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ახალგაზრდა მეჩაიეები, მეციტრუსეები, მრეწველობის დარგის მუშაკები წინასაყრილობო ვახტზე შრომითი მიღწევების ავტორები არიან. ფიზკულტურული მოძრაობის მოწინავეთა რიგებშიც კომკავშირელები იმყოფებიან. ახლა უკვე ყველა საკოლმეურნეო პირველად კომკავშირულ ორგანიზაციაში შექმნილია ფიზკულტურული კოლექტივები, სადაც ახალგაზრდა კოლმეურნეები იმაღლებენ თავიანთ სპორტულ ოსტატობას.

აფხაზეთის ალკკ საოლქო კომიტეტმა ფიზკულტურულ მოძრაობაში ახალგაზრდობას მასობრივად ჩაბმის მიზნით საოლქო კომიტეტთან შექმნა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შტატგარეშე სექტორი, სადაც სისტემატურად თანამშრომლობენ სპორტის ოსტატი რ. ლეკვეიშვილი, აფხაზეთის კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი, ა. პაპბა და მრავალი სხვანი. ბოლო ხანებში საგრძნობლად გაიზარდა კომკავშირელ-სპორტსმენთა რიცხვი, რომელთა რაოდენობამ 16.000-ს მიაღწია, მაგრამ ჩვენის აზრით, ეს რიცხვი ჯერ კიდევ მცირეა და ოლქის კომკავშირულ ორგანიზაციას გადაწყვეტილი აქვს ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩააბას ოლქის კომკავშირელთა ახალი მასები.

რესპუბლიკის კომკავშირელებს გადაწყვეტილი აქვთ კეთილმოაწყონ მარტივი ტიპის სტადიონები და სხვა მოედნები. კომკავშირის საოლქო კომიტეტის ინიციატივით აფხაზეთში დაინერგა ისეთი კარგი ღონისძიებები, როგორიცაა „მორბენლის დღე“ და „მტყორცნელის დღე“. ამ ღონისძიებებში, რომლებიც აფხაზეთის ყველა რაიონში იმართება პერიოდულად, მრავალი ახალბედა სპორტსმენი ღებულობს მონაწილეობას. ასეთ ღონისძიებებზე ხშირად ვლინდებიან ხოლმე სპორტის ამ სახეობებში კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდები, რომლებიც შემდეგ ებმებიან მძლეოსანთა სექციებში და აქ ოსტატდებიან. ასე მაგალითად, ოჩამჩირეში ამგვარ ღონისძიებაში ერთ დღეს 500-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა და შემდეგ ბევრი მათგანი მძლეოსნური სექციის რეგულარული მომეცადინე გახდა.

აფხაზეთის ფიზკულტურული ორგანიზაციები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისათვის აღებულ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ. აღებულ ვალდებულებათა განხორციელების შედეგად 83 მცირერიცხოვანი ფიზკულტურული კოლექტივის ბაზაზე შეიქმნა 8 ახალი და მძლავრი ფიზკულტურული კოლექტივი. ამ უკანასკნელ ხანს აფხაზეთში ფიზკულტურელთა რიგები გაიზარდა 2.107 კაცით. ახლა აფხაზეთში უკვე აღარაა ისეთი ორგანიზაცია, სადაც ფიზკულტურული კოლექტივი არ იყოს შექმნილი. მრავალ სამრეწველო საწარმოში დაინერგა საწარმოო ტანვარჯიში. სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის რესპუბლიკას 50.000 ფიზკულტურელი ეყოლება.

სექტემბრის დასასრულისათვის აღებულ ვალდებულებათა ანგარიშში აფხაზეთში მომზადდა 5 ოსტატი. კარგი მდგომარეობაა თანრიგოსანთა მომზადების საქმეში. უკვე მომზადდა 141 პირველთანრიგოსანი (წლიური გეგმა — 154), 511 მეორეთანრიგოსანი (გეგმა 657), 2.217 მესამეთანრიგოსანი (გეგმა — 2.827), 1.316 მოზარდთა თანრიგოსანი (გეგმა — 1.792). მშთ I და II საფეხურის ნიშნოსანთა მომზადება უკვე გადაჭარბებით შესრულდა.

აფხაზეთის კომკავშირული ორგანიზაცია, ახალგაზრდობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ როგორც შრომაში და სწავლაში, ისე სპორტშიც ახალი წარმატებებით შეხვდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას.

ჯ. სიმონავა,

აფხაზეთის ალკკ საოლქო კომიტეტის მდივანი.

სპორტული ოქტომბერი აფხაზეთში

სკკპ XXII ყრილობას აფხაზეთის ფიზკულტურული ორგანიზაციები მრავალი საინტერესო ღონისძიებით ხვდებიან. სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში გათვალისწინებულია აფხაზეთის მასშტაბით 4 პირველობის ჩატარება: ოქტომბერში მოეწყობა აფხაზეთის ჩემპიონატი ძალოსნობაში, მძლეოსნობაში, 13 ოქტომბერს ასპარეზობა დაიწყეს კალათბურთელებმა, ხოლო ყრილობის გახსნის დღეებში — 15-17 ოქტომბერს ერთმანეთს შეეჯიბრებიან აფხაზეთის კლასიკური სტილის მოჭიდავეები.

სოხუმელი სპორტსმენები სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად აწყობენ სპორტულ ღონისძიებებს. სოხუმელი ფეხბურთელები ერთმანეთს შეეცილებიან უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად. ოქტომბრის მეორე ნახევარში სოხუმის პედინსტიტუტის სტუდენტები მწვერვალ ანჩხოს დაპყრობას ამპირებენ, ნორჩი კალათბურთელები კი გაითამაშებენ სკკპ XXII ყრილობასთან დაკავშირებით დაწესებულ პრიზს. ნორჩი წყალბურთელები საქალაქო შეჯიბრებას დაიწყებენ 15 ოქტომბერს. ყრილობის გახსნის დღეს სოხუმელ მძლეოსნებს განზრახული აქვთ ქალაქის მთავარ მაგისტრალებზე წრიული ესტაფეტის მოწყობა.



ლ ე ლ ო

ამ-2 ბ3. № 163 (1799)

გათამაშების ცხრილები

I–X ადგილებისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ჭ.
„დინამო“ (კიევი)	28	17	8	3	54:25	42
„ტორპედო“ (მოსკოვი)	28	18	3	7	64:32	39
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	28	16	6	6	56:33	38
ცსკა	28	15	6	7	58:39	36
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	27	13	10	4	49:32	36
„დინამო“ (თბილისი)	28	13	6	9	50:29	32
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	28	11	9	8	26:24	31
„სპარტაკი“ (ერევანი)	28	11	9	8	35:36	31
სკა (როსტოვი)	28	10	7	11	50:35	27
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	27	10	7	10	38:53	27

XI–XXII ადგილებისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ	ჭ.
„დინამო“ (მოსკოვი)	30	16	7	7	54:36	39
„შახტიორი“ (სტალინო)	30	10	10	10	38:33	30
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	30	11	8	11	43:46	30
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	30	10	8	12	37:37	28
„მოლდოვა“ (კიშინოვი)	30	11	6	13	44:52	28
„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი)	30	10	7	13	41:44	27
„ნეფტიანიკი“ (ბაკო)	30	7	13	10	34:45	27
„კაირატი“ (ალმა-ატა)	30	9	7	14	29:47	25
„ბელარუსი“ (მინსკი)	30	6	10	14	25:41	22
„სპარტაკი“ (ვილნიუსი)	30	6	5	19	28:62	17
„დაუგავა“ (რიგა)	30	5	6	19	28:59	16
„კალევი“ (ტალინი)	30	1	8	21	22:63	10

★

მოსკოვი. 12 ოქტომბერი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები — „ლოკომოტივი“ — „სპარტაკი“.

მატჩს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიმდინარე ჩემპიონატში გამარჯვებულისგამოსავლენად, ვინაიდან სპარტაკელებს რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ მოეპოვებინათ ოქროს მედლები. მაგრამ „სპარტაკმა“ წააგო შეხვედრა ანგარიშით 1:3 და ამჟამად თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში პირველად უმაღლესი წოდების მფლობელი იქნება არა მოსკოვის გუნდი. კიევის „დინამოს“ მაქსიმალური შანსი აქვს მოიპოვოს ჩვენს ქვეყანაში უძლიერესის წოდება.

* * *

ჩატარდა მორიგი შეხვედრები „ა“ კლასის გუნდებს შორის, რომლებიც მეორე ათეულში ამყოფებიან. ბაქოს „ნეფტიანიკმა“ ტალინში მოუგო ადგილობრივ „კალევს“ — 2:1, ხოლო ალმა-ატის „კაირატმა“ საკუთარ მინდორზე განიცადა მარცხი ლენინგრადის „ადმირალტეეცისაგან“ — 0:3.



მდგომარეობა 14 ოქტომბრისათვის

დღეს ფინალი

დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებისათვის. გაზაფხულზე გათამაშებაში ჩაება 32 ათასზე მეტი გუნდი, ხოლო მათგან ფინალისათვის დარჩა ორი — უკრაინის თასის მფლობელი „სტარტი“ (ჩუგუევი, ხარკოვის ოლქი) და ლენინგრადის სახელმწიფო ოპტიკურ-მექანიკური ქარხნის სპორტკლუბის გუნდი.

აღსანიშნავია, რომ ლენინგრადელებმა მხოლოდ დამატებით დროში შეძლეს ნახევარფინალური მატჩის მოგება მინსკის „სპუტნიკთან“, ხოლო უკრაინელებმა მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს უსტ-კამენოგორსკის „ტორპედო“.

დღეს ოდესაში შედგება ამ საინტერესო გათამაშების ფინალური მატჩი.

ფეხბურთში საქართველოს პირველობის დამთავრების შემდეგ დაიწყო ბრძოლა ფინალურ ჯგუფში ჩემპიონის გამოსავლენად. ფინალურ ჯგუფში, როგორც ცნობილია, გავიდნენ „გურია“ (ლანჩხუთი), „მეშახტე“ (ტყიბული), „იმერეთი“ (ქუთაისი), „სიხარული“ (მახარაძე), „ლოკომოტივი“ (სამტრედია) და „ოდიში“ (ზუგდიდი).

მეტად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მატჩი ტყიბულში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეშახტე“ და ლანჩხუთის „გურია“. ორივე გუნდის თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი და თამაში დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

პირველი შეხვედრა „ოდიშს“ საკუთარ მინდორზე ჰქონდა სამტრედიის „ლოკომოტივთან“.

ტაიმი დამთავრდა „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ — 1:0. შესვენების შემდეგ სურათი მთლიანად შეიცვალა, ზუგდიდელებმა მტკიცედ აიღეს ხელთ ინიციატივა და თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში არ მოსცილებიან სამტრედიელთა კარს. მართალია, „ლოკომოტივს“ ჰქონდა მომენტი გაეტანა ბურთი მოწინააღმდეგის კარში, მაგრამ „ოდიშის“ მეკარე შ. კიტიამ შეძლო 11-მეტრიანი საჯარიმოდან დარტყმული ბურთის მოგერიება. ზუგდიდელებმა 5 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1.

მახარაძეში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სიხარული“ და ტყიბულის „მეშახტე“. სტუმრებმა კარგად დაიწყეს თამაში და პირველ წარმატებასაც მიაღწიეს, მაგრამ მახარაძელებმა ჯერ გაქვითეს გოლი, ხოლო შემდეგ გადამწყვეტი ბურთიც გაიტანეს, რომელმაც მათ მოუტანა გამარჯვება — 2:1.

ლანჩხუთში შედგა მატჩი ქუთაისის „იმერეთსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ფინალური თამაშების ცხრილი

„ოდიში“ ზუგდიდი	1	1	0	0	5:1	2
„სიხარული“ მახარაძე	1	1	0	0	2:1	2
„გურია“ ლანჩხუთი	2	0	2	0	1:1	2
„იმერეთი“ ქუთაისი	1	0	1	0	1:1	1
„მეშახტე“ ტყიბული	2	0	1	1	1:2	1
„ლოკომოტივი“ სამტრედია	1	0	0	1	1:5	0

სკოლებს შორის

დამთავრდა ბათუმის რაიონის თასის გათამაშება ფეხბურთში საშუალო სკოლების გუნდებს შორის.

ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მახინჯაურის ქართული და რუსული სკოლების გუნდებმა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს რუსული სკოლის ფეხბურთელებმა.

ჩვენი წინადადება

ფეხბურთის პოპულარობასა და ფართო გავრცელებაზე ლაპარაკი ზედმეტია. თბილისში ბევრ ესხოლ დაწესებულებას ჰყავს საკუთარ თამაშს მოყვარულთა გუნდები, რომლებიც თვითონაც სიამოვნებით მიიღებდნენ მონაწილეობას შეჯიბრებებში, რომ ასეთი ღონისძიებები ტარდებოდეს მათი ასაკის შესაფერის კატეგორიებში. ლაპარაკია ე. წ. „მოხუცთა“ გუნდებზე. რატომ არ შეიძლება ისეთ დიდ ორგანიზაციებთან, როგორიცაა სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თეატრები, აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტები, ფაბრიკა-ქარხნები და სხვა, ჩამოყალიბდეს გუნდები, სადაც მოთამაშეთა მინიმალურ ასაკად დაწესდება, ვთქვათ 30 წელი. ასეთი გუნდები ხალისით ითამაშებენ ერთმანეთში და ინტერესიც შეჯიბრებათა მიმართ დიდი იქნება.

ჩვენი წინადადებაა მოვაწყოთ ასეთი ტურნირები და ტრადიციად ვაქციოთ იგი.

მ. ალექსიძე,
ლ. კიკნაძე,
თ. ებანოიძე,
ვ. ჩარგეიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის მუშაკები.

კარგი წამოწყება

დიდი ხანი არაა, რაც ქ. სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის პედაგოგებმა ჩამოაყალიბეს ფეხბურთის გუნდი, შეიძინეს ფორმა და შეუდგნენ ვარჯიშს. ამას წინათ მათ ამხანაგური შეხვედრა ჰქონდათ ქალაქის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორთა გუნდთან.

მატჩი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია მაყურებლებში, დამთავრდა ინსტიტუტის გუნდის სასარგებლოდ. ამგვარ შეხვედრათა მოწყობა განზრახულია მომავალშიც.

გ. გულდადაგა



ფოთის ლელობურთელები — საქართველოს ჩემპიონები

ოქტომბრის პირველ ნახევარში, გეგეჭკორში მიმდინარეობდა საქართველოს 1961 წლის პირველობა ლელობურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: რესპუბლიკის თერთმეტგზის ჩემპიონი—ჩოხატაურის გუნდი, ქობულეთის, ფოთის, გეგეჭკორისა და ვანის ლელობურთელები.

პირველობაზე წარმატებას მიაღწიეს ფოთის ლელობურთელებმა (მწვრთნელი ლ. ნაჟუებია), მათ დაამარცხეს გეგეჭკორის რაიონის სპორტსმენები ანგარიშით 6:3; ქობულეთელები — 15:10. დიდი ინტერესი გამოიწვია ფოთისა და ჩოხატაურის ლელობურთელთა შეხვედრამ. რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონთან ფოთელებმა კარგად ითამაშეს. მათ 3-ჯერ გაიტანეს ლელო ჩოხატაურელთა მხარეს და თამაში მშრალი ანგარიშით — 3:0 მოიგეს. ჩოხატაურის გუნდმა გათამაშებაში მეორე წარუმატებლობაც განიცადა. გეგეჭკორის ლელობურთელებთან შეხვედრა მათი დამარცხებით დამთავრდა — 6:11.

შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოსულმა ფოთის ნაკრებმა გუნდმა მოიპოვა საქართველოს 1961 წლის ჩემპიონის წოდება. გეგეჭკორის გუნდს წილად მეორე ადგილი ხვდა. ჩოხატაურის გუნდი მესამე ადგილზეა.

ა. ლომაია

* * *

სურათებზე: ზევით — ლელობურთში საქართველოს 1961 წლის პირველობაზე გამარჯვებული ფოთის ლელობურთელთა გუნდი. ქვემოთ — ფოთისა და ქობულეთის ლელობურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ზ. გავრილენკოსი.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 163 (1799)

სპორტული საზოგადოებანი

სოფლის მძლეოსნები — სტარტზე

ოჩამჩირის „შრომითი რეზერვების“ სტადიონზე ჩატარდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში 17 გუნდის 200-მდე სპორტსმენის მონაწილეობით.

კარგად გამოვიდნენ აფხაზეთის, სამტრედიისა და მახარაძის სპორტსმენები, რომლებმაც გუნდურ ჩათვლაში შესაბამისად მოიპოვეს პირველი, მეორე და მესამე ადგილები. ამ გუნდების სპორტსმენთა უპირატესობა აშკარა იყო პირად ჩათვლაშიც. ასე, მაგალითად, სამტრედიის გუნდის წევრებმა ა. შუქუროვამ, მ. ფაღავამ, ი. ლორიამ გაიმარჯვეს 100 მეტრზე რბენაში, ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში. სამტრედიელებს დარჩათ უპირატესობა ესტაფეტებშიც.

აფხაზეთის გუნდის წევრები ს. ნარმანია, ნ. კორსანტია, ა. სიმონიანი გამარჯვებულები გამოვიდნენ 400 მეტრზე რბენაში, შუბის ტყორცნაში და ბირთვის კვრაში (ქალთა შორის). მახარაძელთაგან გუნდს საპრიზო ადგილები მოუტანეს მ. ჭანტურიშვილმა, ზ. ხანთაძემ, ა. გოგოლაშვილმა, ქ. დოლიძემ და სხვებმა.

ცუდი მაჩვენებლები არ უჩვენებიათ ზუგდიდელ სპორტსმენებსაც. მაგალითად, გ. სულუხიამ გაიმარჯვა ვაჟთა შორის 200 და 400 მეტრზე რბენებში და მეორე იყო 100 მეტრზე. ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ამ გუნდის წევრმა ლ. შურღაიამ დაძლია 135 სმ და გაიმარჯვა. სიგრძეზე ხტომაში პირველები იყვნენ მისი თანაგუნდელები მ. მაქაცარია (ქალთა შორის) და პ. თოდუა.

სხვა დისტანციებზე ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ: ქალთა შორის 800 მეტრზე რბენაში—სიღნაღელი ტ. მალოლეტკინა, 1.500 მეტრზე რბენაში—სამგორელი მ. ლაჩრიშვილი. ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში — გორელი ნ. ნაზღაიძე და სხვ.

ვ. დოხნაძე

ბალკანეთის თასზე

ამ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობს 5 გუნდი: „სტიაგულ როშუ“ (რუმინეთი), „ფენერბახჩე“ (თურქეთი), „ლევსკი“ (ბულგარეთი), „პარტიზანი“ (ალბანეთი) და „პეკი“ (საბერძნეთი). სტამბულის „ფენერბახჩემ“, რომლის შემადგენლობაშიც თურქეთის ნაკრების რამდენიმე მოთამაშეა, პირველი შეხვედრა ფრედ დაამთავრა „ლევსკისთან“ თავის მოედანზე (0:0), მაგრამ სასტიკად დამარცხდა სოფიაში (0:4). ამან საშუალება მისცა რუმინელ ფეხბურთელებს წინ გაჭრილიყვნენ. ამჟამად „სტიაგულ როშუ“ ერთადერთი გუნდია, რომელიც დაუმარცხებლად იბრძვის — მას 4 თამაშიდან 6 ქულა აქვს. „ფენერბახჩეს“ 5 ქულა აქვს. დანარჩენი სამი გუნდის მდგომარეობა უიმედოა: „ლევსკის“ 4 ქულა აქვს (5 თამაშიდან), „პარტიზანს“ — 3 ქულა (3 თამაშიდან), ხოლო „პეკს“ — 3 ქულა (4 თამაშიდან).



მწვერვალისაკენ!

ფოტო შ. მირიანაშვილისა.

ბრაზილიელთა თამაშების კალენდარი

როგორც გერმანული ჟურნალი „ფუსბალ-ვოჰე“ იუწყება, ბრაზილიის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატამდე ჩაატარებს შემდეგ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებს: 3, 6 და 12 დეკემბერს ბრაზილიელები სამჯერ (!) შეხვდებიან თავიანთ მოედანზე (რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანასა“ და სან-პაულუს სტადიონებზე) საბჭოთა კავშირის ნაკრებს. ამის შემდეგ ბრაზილიას ეწვევა „კარლ დეკერის ახალი გუნდერტიმი“ — ავსტრიის ეროვნული ნაკრები, რომელმაც უკვე კარგა ხანია არ იცის რა არის დამარცხება. ავსტრიელები რიო-დე-ჟანეიროში ჩადიან ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელის აიმორე მორეირას მიწვევით და გამართავენ ორ მატჩს.

დანარჩენი შეხვედრები ჩატარდება მომავალ წელს. 22 და 25 აპრილს ბრაზილიელები ეთამაშებიან პოლონელებს, 3 და 6 მაისს — პორტუგალიელებს და 13 და 16 მაისს — უელსელებს.

ბუდაპეშტი. აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ წარსულში განთქმული ფეხბურთელები, უნგრეთის „დიდი გუნდის“ წევრები ზაქარიაში და ბუდაი გვინეის რესპუბლიკაში იმუშავებენ, როგორც დგილობრივი ნაკრების მწვრთნელები.

პარიზი. გაიმართა საფრანგეთისა და ინგლისის ეროვნული ნაკრები გუნდების შეხვედრა მძლეოსნობაში. აქამდე ასეთი შეჯიბრებები სისტემატურად მთავრდებოდა ინგლელთა სასარგებლოდ. ამჯერად გაიმარჯვეს ფრანგმა ვაჟებმა — (113:99). ქალები ისევ დამარცხდნენ — (33:37).

ტურინი. დამთავრდა იტალიის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. როგორც ყოველთვის, კვლავ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლივიო ბერუტიმ. მან 100 მეტრი გაირბინა 10,4, ხოლო 200 მეტრი 20,9 წამში.

ბუქარესტი. რუმინეთის საფეხბურთო ჩემპიონატში ექვსი ტურის შემდეგ წინ არიან ბუქარესტის „პროგრესული“ და „პეტროლული“—მათ აქვთ 11-11 ქულა. ერთადერთი ქულა ამ გუნდებმა ერთმანეთთან მატჩში დაკარგეს.

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატში მიმდინარეობს მეორე წრე. ლიდერობას მტკიცედ ინარჩუნებს „ემპორი“ (როსტოკი) — 29 ქულა 18 თამაშის შემდეგ. 23 ქულა აქვთ „მოტორს“ (იენა) და ბერლინელ არმიელთა გუნდს — „ფორვერტსს“.

ლინცი (ავსტრია). აქ გაიმართა მატჩები ხელბურთში გფრ-სა და ავსტრიის გუნდებს შორის. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის გაიმარჯვეს გერმანელებმა — 12:5 და 28:13.

ვარშავა. როგორც გაზეთი „პშეგლონდ სპორტოვი“ იუწყება, აქ გაიმართა სამი ქვეყნის: პოლონეთის, უნგრეთისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების შეჯიბრება ტყვიით სროლაში. პირველი ადგილი დაიკავეს უნგრელმა სპორტსმენებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზარმაზარი თეთრი სპილოებივით ირწევიან ყინულს მთები და მათ შორის ბუზანკალივით დაეხეტება იალქნიანი „ვიკინგი“, სელაპებზე მონადირეთა ხომალდი. გემზე ზეიმია. დღეს ამაღლებაა, ყველამ უხვად მიიღო ლუდი, გროგი და ქონიანი ფაფა. უკან საფრთხეა, წინაც საფრთხე. გემზე კი ზეიმია. მხიარული მეზღვაურები ყველა გამოვლილ ჭირს ივიწყებენ და მართავენ თამაშს, რასაც ნორვეგიელები „მელიის ხაფანგს“ უწოდებენ. ეს ვაჟკაცობის გამოცდაა. თუ გაქვს საკმაოდ მაგარი კუნთები, გემბანზე გულაღმა უნდა დაწვე, მოწინააღმდეგეს ფეხი ამოსდო და გადააყირავო. ყველას მოერია „ბატონი სტუდენტი“. თვით აყლაყუდა პაულსს, უშიშარ ოლეს, მძიმე ქრისტიანს, რომელსაც მეტსახელად „ბალონს“ ეძახიან. ახლა თვით კაპიტანმა კრეფტინგმა ისურვა თავისი ძალის გამოცდა.

—სიამოვნებით!—იღიმება სტუდენტი და იმართება ორთაბრძოლა. არ გაუვლია წუთსაც, რომ კაპიტანი თავდაყირა გადაკოტრიალდა. თან იცინის, თან პროტესტს აცხადებს: მომზადება არ მაცალო.

— მაშ მოემზადეთ და როცა მოემზადოთ, გამაღვიძეთ. — ხუმრობს იგი. ხომალდი ტრიუმფს უმართავს ახალგაზრდა სტუდენტს, რომელმაც თვით კაპიტანი დაამარცხა. რა იციან, რომ ეს მხიარული სტუდენტი, სასამართლოს უბრალო მდივნის შვილი ფრიტიოფ ნანსენია. და ვინც ახლა „ვიკინგის“ ერთადერთი მგზავრია, თვით იქნება ყინულოვან ზღვათა სწორუპოვარი ვიკინგი!

შემთხვევით როდი მოხვედრილა ასეთ სახიფათო რეისში ფრიტიოფი. დაუდეგარი ყმაწვილი ადრევე გულმოდგინედ ეწაფება მათემატიკას, მედიცინას, სამართალს, ბიოლოგიას, ამასთან გაბედულად ესხმის თავს მოწინააღმდეგეს, რომელიც ღონით აღემატება და ამჯობინებს პიტალო კლდეზე ჭიანჭველასავით აცოცდეს, ვიდრე ირგვლივ შემოუაროს. ნორვეგიის უღრან ტყეებში ნადირობს, სერკეს წყალში თევზაობს, თავბრუდამხვევი სიმაღლეებიდან ეშვება თხილამურებით, საკუთარი თოფის გამოგონებას ცდილობს.

„ვიკინგი“ ნანსენის პირველი სერიოზული გამოცდა იყო. ნიჭიერი სტუდენტი ნორვეგიის პირველი მოთხილამურე, მოცურავე, დაუღალავი მორბენალი და მონადირე ამ სახიფათო ნაოსნობაში კრეფტინგს გაჰყვა სელაპის ბიოლოგიის შესასწავლად, მაგრამ ახალგაზრდა სწავლული ყინულების მოძრაობის საიდუმლოებასაც ჩასწვდა უკეთ, ვიდრე მისი წინაპართა თაობები. აი, მისი ყურადღება მიიპყრო გემ „ჟანეტას“ ნამუსრევმა და ციმბირულმა ფიქვმა, რაც მოდრეიფე ყინულებს გამოჰყოლოდა ჩრდილო-დასავლეთისაკენ და გადასწყვიტა ისეთი გემის აგება, რომელიც გაუძლებდა ყინულების მოწოლას და პოლუსისაკენ გაიჭრებოდა.

საფრთხემ კიდევ უფრო გამოაწრთო ფრიტიოფი. შინ დაბრუნებულ ჰაბუკს წილად ხვდა საოცნებო პატივი: საქვეყნოდ ცნობილი პროფესორი დანიელსენი თავის ლაბორანტად ნიშნავს ბერგენის მუზეუმში. მაგრამ მუზეუმში რა გაიჩერებს დაუდგრომელ ნანსენს? მალე გაზეთში კითხულობს ცნობას, რომ ნორდენშელდმა თხილამურებით გადასერა გრენლანდიის ნაწილი. დასრულდა ხანმოკლე სიმშვიდე. ხომ შეიძლება სიგრძე-სიგანით გადასეროს ეს უზარმაზარი ხმელეთი? ხომ შეიძლება გამართლდეს ნორდენშელდის ვარაუდი, კუნძულის შუაგულში თბილოდეს და მწვანე ტყეები იყოს? მაშ რისთვის უწოდეს გრენლანდია, „მწვანე ქვეყანა?“. მართალია, ნორვეგიული საგა მოგვითხრობს, რომ ასე უწოდა ვერაგმა მეფემ და განზრახ გაგზავნა იქით ოცდახუთი გემი, რომელთა უმრავლესობა დაიღუპა, მაგრამ ეს თქმულებაა, ნანსენი კი მეცნიერია და მას ესაჭიროება სიმართლე, საბუთი, ფაქტები. მოხუცი ნორდენშელდი გაოცებული რჩება ჰაბუკის შეუპოვარი გამომეტყველებით და სახიფათო გადწყვეტილებით და თუმცა სახეზე ეკვის ღიმილი დასთამაშებს, სიამოვნებით საუბრობს თექის ჩექმებს, მზის სათვალეებსა და ძვირფას რჩევებს. ერთი იმდროინდელი გაზეთი წერს: „ამა წლის ივნისში ნანსენი ფიქრობს სახელმწიფო ხარჯზე თხილამურებით გაისეირნოს გრენლანდიის ყინულზე. მაყურებელთა ადგილი — ნაპრალებში. უკან დასაბრუნებელი ბილეთები შეგიძლიათ არ აიღოთ“. ექსპედიცია მაინც ეწყობა. ხარჯებს იღებს დანიელი ვაჭარი ჰამელი. გამგზავრებამდე ნანსენი იცავს სადოქტორო დისერტაციას — არა გრენლანდიაზე, არამედ ნერვულ სისტემაზე: დე, იყოს დოქტორი! სულერთია, დაღუპვა ელის.

და აი დოქტორი ნანსენი მზადაა ფიზიკურად, გონებრივად, სპორტულად — ნანსენი მზადაა შეებას ყინულთს. 1888 წელია. გემი გრენლანდიის აღმოსავლეთ ნაპირთან ჩერდება. აქედან დაიწყება გადასვლა. აქ ბუნება ბევრად უფრო სასტიკია, თანაც კაცის ჭაჭანება არაა, დასავლეთის ნაპირი კი დასახლებულია. ამაში იჩინა თავი ნანსენის ჭკუამ და შორსმჭვრეტელობამ. ადამიანის ბუნების უღრმეს საიდუმლოებაზე ამყარებს იმედს გენიალური ნანსენი: ჯობია აღარ იყოს უკან დასახევი გზა ან, როგორც ძველად იტყოდნენ, „ყველა ხომალდი დაიწვას“. ასე უფრო თამამად და თავგანწირვით წავლენ წინ. ცუდია, როცა მოგზაური თუ მებრძოლი მეტად ბევრ დროს კარგავს უკან მოსახედავად იმ დროს, როცა წინ უნდა იჩქარიდეს და ყოველი წუთი ძვირფასია.

გემი უკან ბრუნდება. ხუთი კაცი რჩება უდაბურ, ყინულოვან, პირქუშ მხარეში, სადაც თეთრი დათვიც კი არ ჩერდება. მეექვსე ნანსენია. მას აქაც ჰყოფნის ნებისყოფა უკანასკნელ ბარათში ჩაწეროს: „ვსხდებით ნავებში გამარჯვების დაუშრეტელი იმედით“. მრავალი დღე ამაოდ ცდილობენ ამ იმედის დაშრეტას მძვინვარე ქარი, ყინულოვანი ზვირთები და თოში, რომელზედაც მამაცებმა მოიკალათეს. დიდი გაჭირვებით ახერხებენ ხმელეთზე გადასვლას. შეუძლებელია ყველა იმ ძნელბედობის გადმოცემა.

ა. ბელოვანი

(გაგრძელება იქნება)

რედაქტორი ი. უგულავა.

15 ოქტომბერი

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

„ლოკომოტივი“ (თბილისი)-

„პიშჩევიკი“ (ტირასპოლი)

დასაწყისი 15 საათზე.



ᲒᲐᲜᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ — საქართველოს 1961 წლის პირად-გუნდური პირველობა, ვ. ი. ლენინის სახელობის დარბაზი, დასაწ. 16 საათზე.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ — „განთიადის“ თასის გათამაშება. მაუდ-კამვოლისა და შამპანკომბინატის სტადიონებზე. დასაწ. 15 საათზე.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲣᲗᲨᲘᲓᲘ — თბილისის პირველობა (კროსი). დასაწ. 16 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.

დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04068